

№ 197 (3174)

1966 წ. ოქტომბერი, 30 იანვარი, 3 კვან.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გამოცემის 23-ე წელი

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში პრიზები — თბილისელებს

მოსკოვი. 8 ოქტომბერი. ცენტრალური სტადიონი. ცსკა — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:1). ცსკა: კულასოვი (ბაუუა), ისტომინი, შესტერნიოვი, ბაგრიჩი, კალიჩინი. ანტონიევიჩი, სეკეჩი, პოლიკარპოვი, ფედოტოვი, კაზაკოვი (შომანოვიჩი), ვარგა.

„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილაძე, შერგელაშვილი, ხარტიშვილი, პეტრიაშვილი, ილიაძე, ასათიანი, მებრეველი, დათუნაშვილი. მსაჯი ნ. კრილოვი (კუბიშევი). დუბლიორები — 1:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

მატჩი დაიწყო საოცრად ნერვულ ატმოსფეროში. ნერვიულობდნენ მთაწამელები და მათი მიღწევები გააძვირებდა ტრიბუნებსაც. პირველი 15 წუთის განმავლობაში ტრიბუნებზე იყო სამარისებური სიჩუმე, მაყურებლები ხმის ამოუღებლად ადევნებდნენ თვალს ბრძოლას. ჩვენი გუნდი თამაშობდა სისტემით 4-3-3. შეტევებში, როგორც წესი, მონაწილეობდა ილიაძე, ხოლო ხელსაყრელ შემთხვევაში წინა პოზიციებზე გამოდიოდნენ ხარტიშვილი და პეტრიაშვილი. ათიოდე წუთის შემდეგ თბილისელები, რომლებსაც მეთაურობდა მებრეველი, შეტევაზე გადავიდნენ. ეს შეტევა ძირითადად ხორციელდებოდა ცენტრში და მარცხენა ფლანგზე. მარჯვენა მხრიდან კი არმელებს თითქმის არ ელოდათ ხიფათი. დინამოელები თანდათან შეუდგნენ მათ მიერვე მარჯვენა ფლანგზე ხელთნერვად შექმნილი სიტუაციის გამოყენებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ გარემარბის როლს დროდრო ბ. სიჭინავა ასრულებდა.

კარგ კულასოვი. მაგრამ ფაქტია ის, რომ ძლიერად დარტყმული ბურთის აღება მან ვერ შეძლო და ბურთიანად შევარდა კარში.

ამ მარცხს არმიელებმა გააფთრებულ შტურმით უპასუხეს. რომ არაფერი ვთქვათ ნახევარმეფლებზე, თავდასხმელებს შეუერთდა შესტერნიოვიც და, მართალია ამ შტურმს აკლდა ტაქტიკური მთლიანობა და გეგმავლობა, მაგრამ „დინამოს“ კარი განუწყვეტელი ხიფათის წინაშე იმყოფებოდა. შენაილა აიწეროს ის კოლოსალური დატვირთვა, რომელიც დააწვა თბილისელთა დაცვასა და მეკარეს, ხურცილაძე, ჭელიძე, შერგელაშვილი, ბ. სიჭინავა ყოველ წამს მოწინააღმდეგის ფორმირებთან ხელჩართულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი. ურუშაძე კი იღებდა ბურთებს, რომელთა სიმძლავრე უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნებოდა.


ეს წარმოდგენილი იერიში საკმაო ხანს გაგრძელდა და ბირველი, ვინც მას ვერ გაუძლო, იყვნენ... მოსკოველები. მათ თანდათან დათმეს პოზიციები და შუა მინდორისკენ დაიხიეს. ტაიმის დასასრულს კი ბურთი ისევ გამიჩნდა „დინამოს“ საჯაროში მოედანზე. თბილისელთა კარის ბედი ბევრჯერ ეცვალა მეორე ტაიმის პირველ წუთებში და ეცვალა დამეზებულმა შეცდომებმა არმიელებს საშუალება მისცა სულ ახლო მანძილიდან ხუთ-ექვსჯერ დაეარტყათ კარში, მაგრამ ეს უმძლავრესი შეტევაც მოგერიებულ იქნა და დინამოელებმა კვლავ მეთოდურად და დამაჯერებლად გადაიტანეს თამაში წინ. დადგა არმიელთა კარის ბომბარდირების

რეჟი და 30-ე წუთზე მასპინძლები გადარჩნენ ასპროცენტთან გოლს: მებრეველმა შორი მანძილიდან ძელს მოახვედრა ბურთი. აქ ერთმანეთის პირისპირ შეჩნდნენ ასათიანი და ბაუუა... ვაკა გადარბა მეორე გოლს.

დარჩენილი დროის განმავლობაში ერთი წამითაც არ დამცხარა მწვავე ბრძოლა და როდესაც 90 წუთის შემდეგ ნ. კრილოვმა მატჩის დამთავრების ნიშანი მისცა, სტადიონი ტაშის გრილით შეეგება გამარჯვებულს.

აღნიშნულ მატჩში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციამ დააწესა სპეციალური პრიზები მოთამაშისთვის, რომელიც გაიტანდა პირველ ბურთს და საუკეთესო ნეკარისთვის. ეს პრიზები ერვოთ ს. მებრეველსა და რ. ურუშაძეს (ტრანზისტორული მიმღებები „სპიდოლა“).

მატჩის წინ სტადიონის ტრიბუნებს გადაურა შეეულმურენმა და პარაშუტით მიწდორზე გადმოავლო თეთრი ბურთი.



რთი. ეს იყო პრიზი გამარჯვებული გუნდისთვის, რომელიც დააწესა სამოქალაქო აეროფლოტის ვენტრალურმა სამმართველომ. თეთრი ბურთი ღირსეული გამარჯვების ღირსეული ხვედრი გახდა — იგი ჩაიბარეს თბილისელებმა.

დანიშნული იყო „კომსომოლსკაია პრავდას“ კიდევ ერთი პრიზი: იგი უნდა მიეღო ფეხბურთელს, რომელიც ბოლო ბურთს გაიტანდა. ამ პრიზის მიღების რეალური შანსი ჰქონდა კ. ასათიანს, მაგრამ მან როგორც წვეთადღევრეთ, რამდენიმე მეტრის მანძილიდან ვერ გაიტანა გოლი. ასე დარჩა ეს პრიზი გაუთამაშებელი.

მ. კაკაბაძე, ბ. შორქია, ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.




Table with 5 columns: Name, Goals, Assists, Cards, etc. Lists players like 'შალგირინი', 'ბაქაძე', 'დინამო', etc.

გათამაშების ცხრილი

Table with 5 columns: Team, Goals, Assists, Cards, etc. Lists teams like 'დინამო', 'სპარტაკი', 'ლოკომოტივი', etc.

2000 მეტრ სიმაღლეზე

სომხეთის მაღალმთიან ტრაპებზე სეზონის ტიპის მიდამოებში ტარდება სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების სამართი შეხვედრები საზატეცილო ველორბოლაში. შეჯიბრების პირობები ძალზე წააგავს ოლიმპიურს, ველოსიპედისტები პირველობას ერთმანეთს ეცილებიან ზღვის დონიდან დაახლოებით 2000-მეტრიან სიმაღლეზე.

რზე. გამარჯვებული ამავე დროს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს იმსახურებდა. რკალური ტრასის სტარტი 100-მდე ველოსიპედისტმა აიღო. ფინიშთან პირველი მინსკელი ვ. ტაჩენკო იყო, რომელმაც დისტანციის გავლას 34.14,0 მონადლომა. ვ. ტაჩენკოს გადაეცა ჩემპიონის ოქროს მედალი. II-III საპრიზო ადგილები ლენინგრადელმა ველოსიპედისტებმა — ვ. ნეკლეუშინმა და ე. გეგოროვმა დაისაკუთრეს.


ფავორიტების გარეშე

ერევანი (ჩვენი სპეც. კორ.). ადგილობრივ ტრევერ გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება სატრეკო ველოსპორტში. შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიან რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტები. საპრიზო ადგილების უმრავლესობას სწორედ ისინი იწაწილებენ.

გადახედეთ ვაჟთა სპრინტის შედეგებს. პირველი 3 ადგილი მოხრდილებში რსფსრ-ს ველოსიპედისტებს ერვოთ. ამ გუნდის წარმომადგენელმა მოიგო პირველობა ვაბუკთა სპრინტშიც. სსრ კავშირის თასი მოიპოვა ვ. ხიტროვმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ბ. რომანოვი და ა. ავაპოვი. ვაბუკთა შორის უძლიერესი იყო ვ. პეტროვი.

„დინამო“ (კიროვბადი) — „შირაკი“ (ლენინჯანი) 4:0, „სპარტაკი“ (გომელი) — „დაუვა“ (რიგა) 0:1, „კუბანი“ (კრანსოდარი) — „დინამო“ (ტალინი) 2:0, „რუბინი“ (უაზანი) — „როსტელმაში“ (როსტოვი) 0:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „ბალტიკა“ (კალინინგრადი) 0:1, „შალგირინი“ (ვილინუსი) — „ტექსტილშიკი“ (ივანოვო) 1:0.

„დინამო“ (კიროვბადი) — „შირაკი“ (ლენინჯანი) 4:0, „სპარტაკი“ (გომელი) — „დაუვა“ (რიგა) 0:1, „კუბანი“ (კრანსოდარი) — „დინამო“ (ტალინი) 2:0, „რუბინი“ (უაზანი) — „როსტელმაში“ (როსტოვი) 0:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „ბალტიკა“ (კალინინგრადი) 0:1, „შალგირინი“ (ვილინუსი) — „ტექსტილშიკი“ (ივანოვო) 1:0.



ქლიანი აპრტი...

საქართველო რეპერტიორი პედალი. აღმა-ათაშვილი... ჩოგბურთელთა... პიონატის... ერთეულთა შორის თბილისელმა ა. ივანოვამ დაამარცხა მორიზოვა და მოიპოვა ბრიჯაოს მედალი.

ალეა-ათის საჭირაო ხალიჩაზა

აქ დასასრულს უახლოვდება საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალი ჭიბობაში. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლას განაგრძობენ: უმრავლესობაში — შეყერილაძე (საქართველო), კიშინი (რსფსრ), აბდუკარიმოვი (ყაზახეთი); ქვემსუბუქში — ქარსაულიძე (საქართველო), ტუვანოვი (უკრაინა), ბუკუბაძე (ყაზახეთი), აბდულიმოვი (რსფსრ); ქვესაშუალოში — სალარაძე (საქართველო), შახმურადი (რსფსრ), კალიოვი (ყირგიზეთი); ქვემომხმეში — ლომიძე (საქართველო), აისანოვი (ყაზახეთი), ულუკინი (უკრაინა), გრემოვი (მოსკოვი), ლიივა (ესტონეთი).



მ. კაკაბაძე, ბ. შორქია, ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

მ. კაკაბაძე, ბ. შორქია, ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

კავუნასი, 8 ოქტომბერი. აქ დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი ბადმინტონში. ლენინგრადის გუნდმა მოულოდინო ლიტვას — 7:1, მოსკოვმა — ახრბაი-ჯანა — 7:1, რუს-მ — ბელორუსიას — 7:0, უკრაინამ — ლატვიას — 7:0. გამარჯვებული გუნდი გამოვლინდება ხვალ.

ერევანი, 8 ოქტომბერი. ველოსპორტში სსრ კავშირის თასზე გამართულ შეჯიბრებაში სპორტის დამახებრებულმა ოსტატმა, ხარკოველმა ი. კირიჩენკომ ადგილიდან 1000 მეტრზე რბოლაში აიგნა 1.15,1. ეს შედეგი 1,2 წამით უკეთესია გ. ერთეულთა შარშან დამყარებულ საკავშირო და მსოფლიო რეკორდზე.

ფავორიტები... აღნიშნული იყო „კომსომოლსკაია პრავდას“ კიდევ ერთი პრიზი: იგი უნდა მიეღო ფეხბურთელს, რომელიც ბოლო ბურთს გაიტანდა. ამ პრიზის მიღების რეალური შანსი ჰქონდა კ. ასათიანს, მაგრამ მან როგორც წვეთადღევრეთ, რამდენიმე მეტრის მანძილიდან ვერ გაიტანა გოლი. ასე დარჩა ეს პრიზი გაუთამაშებელი.

# კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილება

## სსრკ-ში

საქართველოში კომუნისტური პარტიის მიზანმიმართული კამპანია დაიწყო. კომუნისტური პარტიის მიზანმიმართული კამპანია დაიწყო. კომუნისტური პარტიის მიზანმიმართული კამპანია დაიწყო.

გეტად მსოფლიო ფიზიკულურის ინსტიტუტში, მის ახლანდელ კომიტეტში, დაიწყო მისი მუშაობა. მისი მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩვენს თვლით მივხედოთ საერთაშორისო ორგანიზაციის, უფლებების მოქალაქე განმარტების ფიზიკურის აღზრდის ფაკულტეტები ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და გორის უნივერსიტეტებში.

### ბ. სინარულიძე.

#### საქართველოს სსრკ-ის საზოგადოება და ორგანიზაციების კავშირის საბჭოთა პრეზიდიუმის დაეკავშირება.

საკმარისი არაა კარგი გადაწყვეტილებების მიღება, საჭიროა მისი ცხოვრებაში განხორციელება. აი, რა არის ყველაზე მთავარი.

სამწუხაროდ, უნდა შევინიშნოთ, რომ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ღონისძიებათა განხორციელების საქმე, რომლებიც სხვადასხვა დადგენილებებშია აღნიშნული, კარგად რძედა. მოვიყვანო კონკრეტულ მაგალითს: ყველა-სათვის ცნობილი უმაღლესი და საშუალო სპორტული განათლების საკავშირის სამინისტროს ბრძანება № 350, რომელშიც ლაპარაკია სპორტული დახელოვნების უმაღლესი სასწავლებლებისთვის ჯგუფების ორგანიზაციის თაობაზე. ამ ბრძანების განხორციელება დიდ სარგებლობას მოუტანდა არა მარტო სტუდენტურ სპორტს, არამედ, საერთოდ, სპორტს ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ დრო მიდის, ბრძანება № 350 კი ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ასე მაგალითად, „ბურჯანაძის“ საქართველოს სასპორტო აუცილებელი მწვრთნელების 60 სასპორტო ერთეული, ფაქტიურად კი გამოყოფილია მხოლოდ სამი. როგორც იტყვიან, კომუნისტურია შედეგები.

1959 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობის სახელმძღვანელო ორგანიზაციის რეორგანიზაცია, მისი შედეგად საზოგადოებრივი არჩევითი ორგანიზაცია — სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოთა და დღევანდელი მნიშვნელობის ამბავი იყო და ხელი შეუწყო ფიზიკურ-სპორტულ მოძრაობაში ფართო აქტიური ჩაბმას. კავშირის საბჭოებმა ამ წლების მანძილზე გარკვეული მუშაობა ჩატარეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საქმეში. მაგრამ დღეს ფიზიკურ-სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელობის სტრუქტურა სახეობით როდი აბრუნდა. როგორც ჩანს, 1959 წლის რეორგანიზაცია უდროო ნაბიჯი იყო.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მუშაობის უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ორგანიზაციებზე — სახალხო განათლების ორგანიზაციებზე, უმაღლესი და საშუალო სპორტული განათლების, თავდაცვისა და განმარტების სამინისტროებზე მოდის.

ფიზიკურ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე დგება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები: ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა, საბჭოთა ადამიანების მომზადება მაღალი შრომითი აღმაშენებლისა და საშრომლოს ორგანიზაციის, მოსახლეობის მუშის მასობრივი გამაჯანსაღებელი მუშაობა და სხვ.

ამავე დროს, ფიზიკურ-სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობა ჩვენს ქვეყანაში ეკისრება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ფაქტიურად უფლებამოსილი არიან ხელმძღვანელობასა და კონტროლზე და მხოლოდ მკაოორდინირებულ ფუნქციებს ახორციელებენ.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა

არ შეიძლება უარყოფითად არ მოქმედებდეს ჩვენს ფიზიკურ-სპორტულ მოძრაობაზე.

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს მუშაობის შედეგად განხორციელებულ საქმეში, რომელშიც მრავალი ორგანიზაცია ფიზიკურ-სპორტულ ორგანიზაციებში, სამინისტროებში, უწყებებსა და საზოგადოებებში არ არის ხთანადო მიზანშეწონილობა და გვემდინება მუშაობაში. მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში უარყოფითად მოქმედებს ვიწრო საუწყებო ინტერესები. ძალიან სწორად არაკვალიფიციურად მიმდინარეობს კადრების შერჩევის და განაწილების საქმე. ფიზიკური კულტურისა და სპორტისთვის გამოყოფილი თანხების ერთიანი კონტროლის უქონლობამ ამ თანხების არაარაგბებულად გამოყენებამდე მივიყვანა. მნიშვნელოვან წიანს აყენებს ფიზიკურ-სპორტულ მოძრაობას პარალელიზმი და სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის შეუთანხმებლობა.

შემოქმედდა გამომდინარე ვთვლით, რომ ახლა მიზანშეწონილი იქნება ფიზიკურ-სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელობის მიერ საბჭოთა კონსტიტუციის სახელმწიფო ორგანოს და მივიყვანო მას სრული უფლებები ფიზიკურ-სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობისა და კონტროლისა.

მუშის რამდენიმე სიტყვით შევეცადო სსრკ-ის კავშირის საბჭოს მუშაობის შედეგების შეფასებას. პრეზიდიუმის წევრებს ალბათ ახსოვთ, როცა ტოკაოს ოლიმპიური თამაშებისთვის მართლაც ნაკრები გუნდი შეიკრიბა, მწვრთნელებმა თავიანთი პირადი დაინტერესებათა გამო გუნდში არ შეიყვანეს თ. ქვეყანაში, რომელიც ერთი კვირით ადრე მხოლოდ რეკორსმენი გახდა. და მხოლოდ აქტიური ჩართვის შედეგად იგი გუნდში ჩაირიცხეს. რა მოხდა შემდეგ? ქვეყანაში ერთადერთი საბჭოთა სპორტსმენი იყო, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. მანინ, როცა დანარჩენი მართლაც უმელოდ დარჩნენ.

ამ მაგალითს ჩვენ ახსოვს კი გაგონინდელი, სათანადო დასკვნები რომ გავკეთებინათ. სამწუხაროდ, ტენდენციური, არაობიექტური მიდგომა სსრკ-ის ნაკრები გუნდების დაკომპლექტების საქმეშია. ამასაც იჩენს თავს. ეს კი ძალზე ცუდად მოქმედებს სპორტულ მწვრთნელებსა და საბჭოთა სპორტული მოძრაობის ავტორიტეტზე.

ახლანან დორტმუნდში დამთავრდა მხოლოდ პირველი სპორტულ ტან-ლიანობის. როგორც ცნობილია, სსრკ-ის კავშირის ქალთა ნაკრებმა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე პირველად წააგო გუნდური პირველობა. განსაკუთრებით სუსტად გამოვიდა ჩვენი გუნდი ბუნებით ხტომებში, რამაც დამარცხებამდე მივიყვანა.

გვიღდა შევინიშნოთ, რომ დორტმუნდში გამაჯანსაღებამდე კენტრალური საბჭოსა და საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელობის ყურადღება მივაქცეოთ გუნდის არასწორ დამატარებას. მის ძირითად შემადგენლობაში შეყვანილი არ იყო სსრკ-ის კავშირის ჩემპიონი ბუნებით ხტომებში და მრავალჯერადი ბრინჯაოს მედალოსანი ა. ჯანუყაშვილი.

ამაში პირდაპირი დამანაწილი არიან ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. მურატოვი და ქალთა უნდის მწვრთნელი ტ. დემიდენკო.

სპორტში გაუთვითონობიერებულ კაცისთვისაც კი ნათელია, რომ გუნდის დაკომპლექტების დროს აუცილებელია მისი სუსტი ადგილების შევსება. მწვრთნელთა საბჭოს უნდა გაეთვალისწინებინა ჯანუყაშვილის საბრძოლო თვისებები და აუცილებლად შეეყვანა იგი ნაკრებში.

მწვრთნელთა საბჭომაც უყურადღებოდ დასტურა ჩვენი დროული გუნდობილება. როგორც ჩანს, ზოგიერთი ადამიანი ვერ ამართლებს ნდობას, რომელიც მას გამოუტყდა კენტრალურმა საბჭომ და ტანვარჯიშულმა საზოგადოებრიობამ.

მთელი სიმკაცრით უნდა მოვთხოვოთ იმთ, ვინც მართლაც იყენებს ნდობას და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში ტენდენციურია. და ეს ისე უნდა გადაგვეთხო, რომ ერთდროულად და სამუდამოდ აღმწვრთნელი თვისებების მატებითი სპორტის სხვა სახეობებშიც.

სსრკ-ის კავშირის ხალხთა სპორტკავშირის ფინალი მოსკოვში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენს მოუყვანა თავს. ამ გრანდლოზულ შეჯიბრებებს მოემახურებინ ჩვენი სპორტის საუკეთესო წარმომადგენლები, გვიღვივებოდათ მსაჯები. ჩვენ უსწოროდ მივგანჩინა, რომ სსრკ-ის კავშირის 17 სასაფხულო სპორტკავშირის მთავარ მსაჯთა კოლეგიაში 34 მსაჯიდან 32 მოსკოვლია, 1 — ლენინგრადელი და ერთიც — ეტონიურიდან, ხოლო მოსწავლეობა X სპორტკავშირში მთავარ მსაჯთა კოლეგიაში 19-დან 9 მოსკოველი იყო, ხოლო 10 — ლენინგრადელი.

ნათუ მოვამხივო რესპუბლიკებში 50 წლის მანძილზე ვერ აღიზარდნენ მსაჯები, რომლებიც ასეთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებს თავს გაართმევდნენ? ვფიქრობ, ამ საკითხშიაც საჭიროა წესრიგი დამყარდეს.

რამდენიმე სიტყვა სპორტული მსაჯების მნიშვნელობის თაობაზე. 1965-66 წლებში სპორტული მსაჯების მნიშვნელობა 9 სტადიონი, 8 საცურაო აუზი, 57 სპორტული დარბაზი. ამას გარდა, რესპუბლიკის ყველა რაიონში მიმდინარეობს დიდი სამუშაოები.

წლებულს თბილისში უნდა დამთავრდეს ძალისხერით დარბაზის მშენებლობა. მიმდინარეობს სტადიონების მშენებლობა სოხუმში, ტყიბულში, ჭიათურაში, ახალქალაქში, ახალციხეში, ამხეტსა და სხვ. საცურაო აუზების მშენებლობა დაიწყო გალში, გარდაბანში, მახარაჭეში, გურჯაანში, ზუგდიდში და სხვა.

1967 წლის ბოლომდე რესპუბლიკაში და მატებით აშენდება 7 სტადიონი, 8 საცურაო აუზი, 38 სპორტული დარბაზი, ქალაქ ფოთში — საწყლოსნო სადგური.

შემოდინიშნულს გარდა 1966-67 წელს საქსპორტკავშირით უნდა გადაეცეს თბილისის 400-მეტრიანი ველოტრეკი, ნინოწმინთა სადგური მტკვარზე, საცურაო აუზის კომპლექსი სამი საბაზანთით, რომლის ზომა 50x21 მეტრია, ჭიდაობის რეკონსტრუირებული დარბაზი. ქუთაისში აშენდება სპორტული დარბაზი 3000 მკვრების ტვადობით და საცურაო აუზი 50x21 მეტრის წყლის გამობოში აპარატურით.

მინდა დავარწმუნო ბუნების მონაწილეები, რომ საქართველოს ფიზიკურ-სპორტული ორგანიზაციები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით, პიროვნულად და კომპლექსურად ორგანიზაციებთან ერთად ახალ წარმატებებს მოიპოვებენ ამ კეთილშობილურ საქმეში.

მთელ სსრკ-ში ამ დადგენილებამ ერთდროულად მსარგებლო და მოსახერხებელი დაიქვეყნა. გადადგომული პირველი ნაბიჯები ამ დადგენილების ცხოვრებაში განსახორციელებლად.

დღეს საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთი მილიონი ჩამოშლია ფიზიკურ კულტურასა და სპორტში. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მეთექვსმეტი ადამიანი ჩამოშლია ფიზიკურ კულტურასა და სპორტში. თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და აგრეთვე სხვა ქალაქების ახალ ხანდაზმულ მასივებში განთავსების აქტიურობა დახმარებით საზოგადოებრივ დაწესებულებებში განხორციელების ხანადაც შეიქმნა ჯანმრთელობის ხანადაც კლუბები. სულ უფრო მატებულია საწარმოო ტანვარჯიშის ჩამოშლითა რიცხვები. უკანასკნელი ხანი წლის მანძილზე კარგი შედეგებით მიღწეული ჩაის პლატაციებზე მომუშაოთა შორის. დაინტერესდა ჩაის მკვრეფათების ვარჯიშთა სპეციალური კომპლექსი. როგორც ცნობილია, ჩაის მკვრეფათა შრომა არა მარტო ძნელია, ხშირად ცუდად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. დღესდღეობით მტკიცდამარგობა საგრძობლად გამოსწორდა, ამალდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა ჩაის მკვრეფათა ჯანმრთელობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა რამდენიმე დადგენილება მინისტრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე. ეს დადგენილება მიმდინარეობს კონკრეტული პრობლემებისადმი: მომავალ რესპუბლიკურ და სსრკ-ის კავშირის ხალხთა 17 სპორტკავშირისადმი, მოსწავლეობა და სტუდენტობა ფიზიკური აღზრდისადმი, სოფლებში კომპლექსური მსაჯების შექმნისადმი, ტურიზმის მასობრივი განვითარებისადმი და სხვ.

ამ საბაბით პრობლემების გადაწყვეტაში გაიზარდა მნიშვნელობა დეპუტატობის ადგილობრივი საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა. ჯერ კიდევ 1964 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭომ შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ფიზიკური კულტურის კომისია. ამ კომისიის წარდგინებით, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში უკვე 2-ჯერ განიხილეს საკითხი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის მოსახლეობაში ფიზიკურ-სპორტის მსაჯების შემდგომი განვითარების შესახებ. ორივე შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები კონკრეტული ღონისძიებებით.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ასეთივე კომისიები შეიქმნა მნიშვნელოვან დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებში ყველგან. მაგალითად, გორის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო მიმდინარე წელს თავის სესიებზე იხილადა ფიზიკურ-სპორტისა და სპორტის მასობრივი განვითარების, სპორტული მსაჯების მნიშვნელობისა და კეთილმოწყობის საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკურ-სპორტისა და სპორტის განვითარების საკითხები იხილება საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე.

საერთო განათლების სკოლებსა და პროფტექნიკუმების სასწავლებლებში მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა, მისი სწორი ორგანიზაცია სერიოზული პრობლემაა.

სოფლის ყველა რვაწლიან სკოლაში ფიზიკური კულტურის მასწავლებლის თანამდებობის დაწესება და კვარში ფიზიკურ-სპორტის 2 აკვედუმილის ჩატარება ახლა ძალაშია აყენებს სკოლების კვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფის საკითხს. ჩვენი რესპუბლიკა ღარიბი როდია უმაღლესი და საშუალო ფიზიკურ-სპორტული განათლების მქონე სპეციალისტებით. მაგრამ აქამდე არაგულად მიდგომარობის მიხედვით სოფლის სკოლაში სათანადო დატვირთვის უქონლობის გამო სპეციალისტის ყოლა შეუძლებელი შეიქნა და ამიტომ სოფლის ბავშვების ფიზიკური აღზრდის საქმე ხშირად ფიზიკურ-სპორტის შემთხვევით ადამიანებს ეხარათ ხოლმე. ამასთან, ვეარტავლით კადრებს და ვერ ვანერგებდით მათ პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებას. ახლა კი, როცა სოფლად ფიზიკური კულტურის მასწავლებლებზე მოთხოვნილება მკვეთრად გაიზარდა, სერიოზული ღონისძიებები უნდა მივიღოთ კადრების პრობლემის გადასაწყვეტად.

ამას გარდა, წყდება საკითხი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კონტინგენტის გაფართოების შესახებ და იქ 2 ფაკულტეტის — სპორტულისა და პედაგოგიურის ჩამოყალიბების შესახებ. მაგრამ ყველაფერი ეს მომავლის საქმეა. რით ურთვლად საქმეს დღეს? მთავარი უკრედი, რომელზედაც დღეს შეიძლება დაყრდნობა, სკოლაში მომუშავე მასწავლებლებთან კონტინგენტი. ახლა ამოცანა მდგომარეობს მათი კვალიფიციის ამაღლების სწორი ორგანიზაციაში. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში ჯერ ფიზიკურ-სპორტის ინსტიტუტთან, ხოლო მოგვიანებით მასწავლებლებთან კვალიფიციის ამაღლების კურსები. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ვეშქები არც თუ დიდი იყო. ახლა ჩვენ გადავწყვეტეთ, ამ კურსების სტრუქტურის რამდენიმე შეცვლა: გაგზავნოთ ისინი უფრო ხანგრძლივი და ფორმით დასწრებულ-დაუსწრებელი. სოფლის მასწავლებელი 2 წლის მანძილზე საფხულობით ორი თვით ჩამოვა კურსებზე, მიიღებს თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, ხოლო წლის დასაბრუნებლად დასწრებულ-დაუსწრებელად. ამასთანავე გამოცდების ჩაბარებით. ვფიქრობთ, რომ კადრების ასეთი გადაზომების ხისტიკმა საშუალებას ხანგრძლივი მომუშაობის გარეშე, დღესდღეობით ყველაზე უფრო მისაღება.

სერიოზული პრობლემაა დღეს სტუდენტთა სპორტის წინაშე. ახლა იწყება სტუდენტთა შორის სპორტული მუშაობის გაფართოება. გადაწყვედა მათთვის კვირაში ორი მეცადინეობის განმარტება. ეს ძალიან საჭირო ღონისძიებაა, მაგრამ მისი განხორციელება შეუფერხებლად უნდა მიხდეს.

ი. მანინის მოსწინებში ლაპარაკი იყო ერთიანი საუწყებო პროფკავშირულ-სტუდენტური სპორტული საზოგადოების „ბურჯანაძის“ საბჭოს ჩამოყალიბებაზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ წინადადებას. სტუდენტური სპორტის კარგა ხანია წინ ვერ მიღას საუწყებო უწყისობის მიხედვით. ეს ახალი საკითხი როდია. ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, რომლებსაც ბავშვთა სპორტული სკოლები ავით და ეწევიან საშფოო მუშაობას, დღისათვის სტიმული არ გაიანთი. ეს იმიტომ, რომ მათი აღსაზრდელი, როცა უმაღლესი სასწავლებელში მოხვდება, იძულებულია დატოვოს კოლეკტივი, საზოგადოება და მივრთხილი, რომლებმაც ეს აღზარდეს და „ბურჯანაძის“ სახელით გამოვიდეს. დროა ამას ბოლო მივდოს. საჭიროა, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში „ბურჯანაძის“ წევრებთან ერთად თანამარ პირთებში იყვნენ დინამოელები, სპორტკავშირები, ლოკომოტივები. ხოლო რაც შეეხება „ბურჯანაძის“, მან აღზარდოს თავისი ცვლა, როგორც ამას სხვა სპორტული საზოგადოებები აკეთებენ. ყოველი სტუდენტი საუწყებო მიკუთვნებულობის გარეშე სტუდენტურ შეჯიბრებებზე თავისი უმაღლესი სასწავლებლის სპორტულ ღირსებას უნდა იცავდეს.



• სიტყვა წარმოთქმულია ცენტრალური სპორტკავშირის 111 პლენუმზე.



# ვინ არის ყველაზე ღონიერი და ღარიბი?

(დასასრული)

რამ ღრმად სწავრათ: ბერლინის ჩემპიონატი დაემატება მათ კარგად მოემზადონ 1968 წლის ოლიმპიადისთვის.

## ჩვენი გოლიათობა კარგად

ჩვენ უკვე დავასახელებთ ორი საბჭოთა გოლიათი, რომლებსაც მოუთმენლად ელიან ბერლინელი. ვახონინი და ჟაბოტინსკი, ნამდვილად გამოვლენ „ღინამოს-სპორტ-პალემი“ და ნარჩენები? ვერ-ში გამაზავრების კანდიდატები ვერჯერობით ცამეტია და ყველა ისინი ვახონინთან და ჟაბოტინსკისთან ერთად ფიზიკოსთა ქალაქ დუბნაში გადამსწვრთნას.

საერთაშორისო შეჯიბრებებში ძალისხმევა ახლა 7 წონით კატეგორიაში ასპარეზობენ. ჩვენი სპორტსმენები ბერლინში გამოვლენ მხოლოდ 6 წონაში. ერთ-ერთ წონით კატეგორიაში სსრ კავშირის გუნდის ლიდერებს დაიცავს ორი ათლეტი. ეს ძნელი დასაჯერებელია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ქვეყანაში ძალისხმევის სპორტის მიმდევართა რიცხვს, მაგრამ ქვემსუბუქ წონაში ჩვენ არ გვყავს სპორტსმენი, რომელიც შეძლებდა, თუნდაც ერთ-ერთი მედლისთვის ბრძოლას.

მხატვ წონაში სსრ კავშირის სპორტულ ღირსებას დაიცავს როსტოვის ოლქის ქალაქ შახტის სპორტსმენი ა. ვახონინი. ამ 31 წლის მეტახტეს, „ტრუდის“ საზოგადოების წევრს, კარგად იცნობენ სპორტის მოყვარულები. იგი ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონია. იყო 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონიც.

ასე რომ, ქვემსუბუქ წონას ჩვენ გამოვთვალავთ და გადავალთ პირდაპირ მსუბუქ წონაზე. აქ ბერლინის საგზურისთვის დავიბნენ მოსკოველი არმიელი 28 წლის ე. კაცურა და მისი თანატოლი მოსკოველი სტუდენტი ნ. ნოვაკივი.

ქვესაშუალო წონა. აქ ორი კანდიდატია. მოსკოვის ოლქის სპორტსმენი ვ. კურენცოვი და ხაბაროვსკელი ვ. კაპლუნოვი. პირველი 25 წლისაა, მეორე — 33-ისა. ორივე სამხედრო მოსამსახურეა. კურენცოვი მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონია, აგრეთვე მსოფლიო რეკორდსმენიც. კაპლუნოვი — მსოფლიო მსოფლიო რეკორდსმენი.

საშუალო წონაში კანდიდატი სამია. კიეველი ვ. ბელიავეტი, რომელიც ქვესაშუალო წონიდან გადმოვიდა. თბილისელი გ. კორიევი და ლუგანსკელი ა. კიდიავეტი. 26 წლის ბელიავეტი სსრ კავშირის რეკორდსმენია, 29 წლის სტუდენტი, სპარტაკელი კორიევი — სსრ კავშირის ჩემპიონი.

ქვემძიმე წონაშიც გამოვლენისთვის სამი სპორტსმენი ემზადება. ქვეყნის ჩემპიონი, 30 წლის დნეპროპეტროვსკელი ე. ბრეგოვი. 28 წლის ხაბაროვსკელი ვ. გულუვანოვი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ტოკიოში, ხოლო მესამეს — ი. ტალტს ჯერ კიდევ მომავალი წინ აქვს. ეს ჩვენი ნაერბის დებიუტანტია და საკმაოდ ნიჭიერი.

და ბოლოს, საბჭოთა მიმწოდონსები — ლ. ჟაბოტინსკი და ს. ბატიშჩევი. პირველი ზაპორევიელია, მეორე — კრივოი როვიდან. უმძველია, ყველაზე ყველაფერი იცის ჟაბოტინსკის შესახებ. მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, ოლიმპიურმა რეკორდსმენმა, 28 წლის ჟაბოტინსკიმ ესტუმრება მიიღო ი. ვლასოვისგან. რამდენიმე სიტყვა ბატიშჩევზე — „500-კილოგრამიანების კლუბის“ ერთ-ერთ წევრზე. იგი რამდენიმე ასოლგარდა ჟაბოტინსკისზე, შედეგების მიხედვით ა ადგილზეა სსრ კავშირში, სწავლობს სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში.

## ამოცანა — გუნდური პირველობა!

პირველი გამარჯვება 1953 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვეს სსრ კავშირის ნაერბის ძალისხმემა და მას შემდეგ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩათვლით, სადაც მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშდებოდა, მათ არ იცოდნენ რა იყო დამარცხება. და მხოლოდ შარშან, ერთბაშად ორ ტურნირზე — ევროპულსა და მსოფლიოზე ჩვენმა ძალისხმემა დასთმეს გუნდური პირველობა პოლონეთთან ბრძოლაში. ასე რომ, ბერლინში მართლაც ძნელი იქნება. ფიცარანაზე თავს მოიყრის ყველა „ვარსკვლავი“. აქ იქნება მსოფლიო ჩემპიონი მხატვ წონაში უნგრელი ი. ფიოლი, რომელიც მრისსანე მეტოქეობას გაუწევს ვახონინს, იქნება იაპონელი მიაკეც — ყვემსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონი, მძლეოსან-ძალისანი პ. კუნენი (აშშ. იგი ბირთვის მეგრელია), შარშანდელი წლის მსოფლიო ჩემპიონის მფორე პრიზიორი „გაბედა“ ფიცარანაზე გამოსვლა მისმა თანამემამულემ 42 წლის ნ. შემანსკიმ, რომლის უკანასკნელი მიღწევა იყო ტოკიოს ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი.

საპრიზო ადგილებს ყველა პრეტენდენტს ვერ ჩამოვთვლით. შეგირდები მხოლოდ პოლონეთის გუნდზე — მსოფლიოსა და ევროპის ასლანდელ ჩემპიონზე. აი, მისი „ბერლინური შემაღვინლობა“: მჩაბმ წონა — 1965 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი პ. ტრემბიცი; ქვემსუბუქი წონა — ევროპის ჩემპიონი მ. ნოვაკი და ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი რ. კოსლოვსკი; მსუბუქი წონა — მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ბაშანოვსკი და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების III პრიზიორი ნ. უელინსკი; სპუშპალ წონა — მსოფლიო ჩემპიონი ნ. ოშიმევი, ასოლგარდები —

## ნ. ოშიმევი და სხვები

ა. ბეგრუშვი და ა. რიგული; ქვემძიმე წონა — ოლიმპიური ბრინჯაოს მედლის მფლობელი ი. პალინსკი და ევროპის ჩემპიონატის IV პრიზიორი მ. გოლომბი; მძიმე წონა — ასალებელა ძალისანი რ. ვუიციკი, რეკორდსმენი, რამდენიმე გარდა ყველანი ტიტულიანი ათლეტებია. გუნდის მწვრთნელის ა. ძემიციას აზრით, ისინი შესანიშნავ ფორმაში არიან.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოშიმევის გამოსვლა. შარშან თერაპიის ნიჭიერი სპორტსმენის გამოსვლა ნამდვილი სენსაცია იყო, როცა 20 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდა! გამოდიოდა რა საშუალო წონაში, მან სამწიღში 472.5 კილოგრამი დააგროვა. თითქოს და დაირღვა ძალისხმევის სორტის ყველა კანონი, რომელზეც წარმატება საერთო აზრით დასაბუთებით 28 წლის ასაკში მოდის. მაგრამ ოშიმევი სხვა გზით მივიდა გამარჯვებამდე. ის ძალიან ნიჭიერი ძალისხმეა და ამასთან დიდ ყურადღებას აქცევს მეტოქის მოძრაობის გამოუმუშავებას. იგი მძლეოსნობას მისდევს და საკმაოდ წარმატებულად მიაღწია. სიგრძეზე სტემა 620 სანტიმეტრზე, ხოლო 100 მეტრს დარბის 11,2 წამში. ოშიმევი უყვარს პოეზი და შეეძლო კარგი ოსტატი დამდგარიყო, მაგრამ ყველაფერს ძალისხმევა აჯობა. დავუბტებ, რომ ბერლინში მისგან ელიან... 500 კილოგრამს. არც მეტი, არც ნაკლები — ნახევარი ტონა! და ეს საშუალო წონაში! ბერლინის ჩემპიონატი მართლაც რომ ბევრ საინტერესოს გვიპირდება.

აი, ჩვენი მოლოდინები: კენიო კარდიფის სტადიონზე ასპარეზობისას.



კენიელმა მორბენალმა კ. კენიომ წლებადელი მძლეოსნური სეზონის დასაწყისშივე მიზნად დაისახა დემო მ. ჟაზის მსოფლიო რეკორდი 1 მილზე რბენაში — 3.53.6, მაგრამ მას ამერიკელმა ათლეტმა ჯ. რაინმა დაასწრო და ჟაზის მაჩვენებელს 2.35 წამი ჩამოაქრა. ცხადია, კენის ამოცანა — უფილიყო ყველაზე სწრაფი მორბენალი, გართულდა. ამის მიუხედავად ამერიკელი არ ცხრებოდა. მან ჯერ კარდიფში, მერე დუბლინში შეუტია ამერიკელის რეკორდს. მაღალი შედეგებიც (3.57.6 და 3.57.4) აჩვენა, მაგრამ მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩა.

ს უ რ ა თ ზ ე: კენიო კარდიფის სტადიონზე ასპარეზობისას.

## აი, ჩვენი მოლოდინები!

დავასახელებთ ევროპის ასლანდელ ჩემპიონებს, რომელთა რწმუნების ვადეა გაცის (შეიძლება გარემოების კიდევ) ოქტომბერში: მჩაბმ წონა — ა. ვახონინი (სსრ კავშირი), ქვემსუბუქი წონა — მ. ნოვაკი (პოლონეთი), მსუბუქი წონა — ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი), ქვემსაშუალო — ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი), საშუალო — ა. კიდიავეტი (სსრ კავშირი), ქვემძიმე — ლ. მარტინი (დიდი ბრიტანეთი), მძიმე — კ. ვენი (უნგრეთი).

წონითი კატეგორიების მიხედვით მსოფლიო ჩემპიონები არიან: ი. ფულდი (უნგრეთი), ი. მიაკე (იაპონია), ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი), ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი), ნ. ოშიმევი (პოლონეთი), ლ. მარტინი (დიდი ბრიტანეთი), ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი).

## მსოფლიო რეკორდები

- სამძიმე — 365,0 კგ (ი. ფიოლი, უნგრეთი).
- ქვემსუბუქი — 397,5 კგ (ი. მიაკე, იაპონია).
- მსუბუქი — 435,0 კგ (ე. კაცურა, სსრ კავშირი).
- ქვესაშუალო — 452,5 კგ (ხ. ოუტი, იაპონია).
- საშუალო — 477,5 კგ (დ. ვერეში, უნგრეთი).
- ქვემძიმე — 487,5 კგ (ვ. ლიანი, სსრ კავშირი).
- მძიმე — 580,0 კგ (ი. ვლასოვი, სსრ კავშირი).

## 3. გაბაინი.

## საქონი ვაჭრობისთვის

## სიასლანი გვიძღვრის პალატაში

ვარშავაში გაიმართა მშვიდობის XX საუბილუო ველოტროლის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. პოპულარული ველოტროლა ამჯერად სტარტს ვარშავაში აიღებს. ფინიში პარალელურად დაიწყეს დაამტკიცეს ახალი დებულება. ასე მაგალითად, თუ უწინ პრემიალური დრო მხოლოდ I-II ადგილს ეძლეოდა, ახლა მას III საპრიზო ადგილიც მიიღებს.

საიუბილეო ველოტროლაში არ იქნება ე. წ. მართონული ეტაპები. ყველაზე გრძელი ეტაპის (ბერლინ — ლაიპციგის) ტრასა 206 კილომეტრს არ აღემატება. გადაწყდა, რომ მშვიდობის XX ველოტროლის სტარტი 1967 წლის 10 მაისს ვარშავაში მიეწყება. ფინიში შედგება 25 მაისს პარალელურად.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაჭარიაძე.



იუგოსლავიელ ტანმოვარჯიშეთა ლიდერი მ. ცერარი კარგა ხანია სათავეში უდგას ტაიჭე ვარჯიშში მსოფლიოს საუკეთესო ათლეტთა სიას. თაიხის სიძლიერე მან ერთბედი კიდევ დაადასტურა ამას წინათ დორტმუნდში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. აქ ცერარმა ყველა მოძრაობა თითქმის უნაკლოდ,

დახვეწილად შეასრულა, საბოლოოდ 19,525 ქულა დაიმსახურა და 0,2 ქულით აჯობა უახლოეს კონკურენტს მრავალქილბი მსოფლიოს ჩემპიონ მ. ვორონინს.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ცერარი ტაიჭე ვარჯიშის დროს.

## თხილის სპორტულ გუნდები

სოფლის მეურნეობის მუშაკის საკავშირო ღრმადი მიმდინილი სახალხო ზიმი. ქალაქის იპოობი. 9 ოქტომბერი. პროგრამა: ში: ქართული ეროვნული ცხენოსნური თამაშობანი (ცხენბურთი, ისინდი, ყაბაჩი), დოლი, ჩორთბავალი ცხენების რბოლა და სხვა, საციკლო ხელოვნებას ოსტატთა გამოსვლები. თაპარ მეფის ლაშქრობის ინსცენირება რესპუბლიკის საუკეთესო მსახიობებისა და ცხენოსნების მონაწილეობით. დაწესებულა შოთა რუსთაველის სახელობის ფილდოები დოღში, რბოლაში, ცხენბურთში, ისინდას და ყაბაჩში გამარჯვებულთათვის. დასაწყისი 12 ს.

ფეხბურთი. „ღინამოს“ სტადიონი. 9 ოქტომბერი. სსრ კავშირის თაისი გათამაშების ნახევარფინალური მატჩი. „ღინამოს“ (კიევი) — „ღინამოს“ (მინსკი). დასაწყისი 16 ს.

სახალხო სროლა. „მონაქვების“ სასროლეთი (ვაკე). 9 ოქტომბერი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 8 ს.

